ქრონიკა. ინფორმაცია.

საქართველოს პრეზიდენტის მილოცვა კათოლიკოს-პატრიარქს დაბადების დღესთან დაკავშირებით

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს

თქვენო უწმინდესობავ,

გილოცავთ დაბადების დღეს ქართული საზოგადოების სახელით. მთელ მსოფლიოში მიმოფანტული ქართველობა თქვენი ლოცვით ინარჩუნებს რწმენას, სამშობლოს სიყვარულსა და მორალურ პრინციპებს. დღეს, როცა პანდემია მძვინვარებს და ჩვენი საზოგადოება შეპყრობილია პოლარიზაციის სენით, საქართველო, როგორც არასდროს, საჭიროებს თქვენს მამობრივ მზრუნველობასა და ლოცვას.

მრავალფეროვანი ქართული საზოგადოების სახელით, გისურვებთ ჯანმრთელობას და მხნეობას.

პატივისცემით და სიყვარულით,

სალომე ზურაბიშვილი
04.01.2022

კათოლიკოს-პატრიარქმა პარლამენტის ახლად არჩეული თავმჯდომარე დალოცა

2021 წლის 29 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოს პარლამენტის ახლად არჩეული თავმჯდომარე, ბატონი შალვა პაპუაშვილი დალოცა და საჩუქრად ხატი გადასცა.

პარლამენტის თავმჯდომარე უწმინდესს მეუღლესა და ქალიშვილთან ერთად ეწვია.

ქრისტეშობა ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიაში

2022 წლის 7 იანვარს, ქრისტეშობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე), ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად, რუხის რესპუბლიკური საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალი და პაციენტები დალოცა და საშობაო საჩუქრები გადასცა.

8 იანვარს კი წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძარში საზეიმო მიღება მოეწყო ახალგაზრდებთან, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან. მეუფე გერასიმემ ბავშვები დალოცა და საშობაო საჩუქრები გადასცა.

ხელდასხმა

4 იანვარს ოზურგეთის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) **დიაკვნად** აკურთხა ჩოხატაურის წმ. იოაკიმ და ანას სახ. საკათედრო ტაძრის მგალობელი **ვახტანგ მეგრელიშვილი.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი ბატონი გიგა ბათიაშვილის გარდაცვალების გამო

დიდია ჩვენი გულისტკივილი ცნობილი არქიტექტორის, ძველი თბილისის აღდგენაში გამორჩეული წვლილის შემტანის, ბატონი შოთა ყავლაშვილის საქმის ღირსეული გამგრძელებლის, მუდამ მოფუსფუსე, ახალგაზრდების პროფესიონალურ აღზრდაში დაუღალავი ბატონი **გიგა ბათიაშვილის** გარდაცვალების გამო.

აღვავლენთ ლოცვებს მისი უკვდავი სულისათვის, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დააწესოს იგი, ხოლო ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მოანიჭოს მშვიდობა.

ილია II, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
03.01.2022

სამძიმარი

გარდაიცვალა ჭყონდიდის ეპარქიის ღვთისმსახური, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ხუნწის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **მღვდელი მოსე ჯანელიძე.**

მწუხარებას გამოვთქვამთ მამა მოსეს გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებსა და სამწყოს.

უფალმა სავანესა მართალთასა დააწესოს მისი უკვდავი სული.

გთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ **ახლად შესვენებული მღვდელი მოსე.**

პირველი წირვა მინსკის ღირსი გაბრიელ აღმსარებლისა და სალოსის სახელობის მშენებარე ტაძარში

ბელარუსის დედაქალაქ მინსკში ღირსი გაბრიელ აღმსარებლისა და სალოსის სახელობის მშენებარე ტაძარში 2022 წლის 22 თებერვალს პირველი წირვა აღევლინა.

აღსანიშნავია, რომ ეს არის ბელარუსში ქართველი წმინდანის სახელობის პირველი მშენებარე ტაძარი, რომელიც მდებარეობს წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის სახელობის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე.

მშენებარე ტაძრის პროექტირებისას გაითვალისწინეს ძველი ბელარუსული არქიტექტურის ტრადიციები. მისი პროტოტიპი გახდა XVIII ს-ის ღვთისმშობლის საფარველის სახელობის ხის ტაძარი.

ეკლესიის შიდა სივრცე ქართული თემატიკის მიხედვით მოეწყობა.

ხელდასხმა

მაღალყოვლადუსამღვდელოესმა, ქუთათელ-გაენათელმა **მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი):**

2022 წლის 8 თებერვალს, წმინდა კეთილმსახურ მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ **სვიმონ ყურაშვილს.**

13 თებერვალს, წმინდა უვერცხლო მკურნალთა კვიროს და იოანეს ხსენების დღეს, ქუთაისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის (ბაგრატის სიონი) საკათედრო ტაძარში დიაკვნად აკურთხა **გიორგი გველესიანი.**

***

20 თებერვალს, წმინდა მეფე სოლომონ II-ის ხსენების დღეს, ქუთაისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის (ბაგრატის სიონი) საკათედრო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ **გიორგი კოპალიანს.** იმავე დღეს კი დიაკვნად აკურთხა სტიქაროსანი **ზვიად მეტონიძე** და სახელად **ილია** უწოდა.

აქსიოს! ვულოცავთ მამებს, ღმერთმა ღირსეულად ამსახუროთ ღვთის სადიდებლად და ერის საკეთილდღეოდ!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი ბატონი თამაზ მეჭიაურის გარდაცვალების გამო

დიდია გულისტკივილი ბატონი თამაზ მეჭიაურის გარდაცვალების გამო.

განგვეშორა ქვეყნისა და მოყვასის გულშემატკივარი, უფლის მოყვარული, ძლიერი და ერთგული პიროვნება, რომელმაც ჩვენს ცხოვრებაში სერიოზული კვალი დატოვა.

აღვავლენთ ლოცვებს, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დააწესოს მისი უკვდავი სული, ხოლო მის ახლობლებს და გულშემატკივართ მომადლოს მშვიდობა და ბატონი თამაზისათვის ლოცვის ძალა.

ილია II, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
17.02.2022

სამძიმარი

2022 წლის 13 თებერვალს გარდაიცვალა მცხეთა-თბილისის ეპარქიის მღვდელმსახური, ნაფეტვრების წმინდა გაბრიელ აღმსარებლისა და

ქრონიკა. ინფორმაცია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი

უკრაინაში ომმა, სამწუხაროდ, კვლავ შეიწირა ჩვენი თანამემამულენი. აღვავლენთ ლოცვებს **დავით მენაბდიშვილის, ნიკოლოზ შანავას, ალექსანდრე ცაავას, არკადი კასრაძის, ზაზა ბიწაძის** უკვდავ სულთათვის, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დააწესოს ისინი, ხოლო ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მიმადლოს მშვიდობა და ლოცვის ძალა.

ილია II, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
18.04.2022

***

გამოთქვამთ ჩვენს გულისტკივილს ბ-ნ ანზორ დოლენჯაშვილის გარდაცვალების გამო.

მან დააარსა და ათწლეულების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჰერეთის სოფელ ალიბეგლოს წმ. ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულ სახალხო თეატრს და, ამასთან, მოამზადა ნიადაგი სახელმწიფო დრამატული თეატრის დაფუძნებისთვის.

თავისი დაუღალავი შრომით ბ-მა ანზორმა უდიდესი წვლილი შეიტანა ამ მხარის სულიერ-კულტურულ ცხოვრებაში, რაც, სამწუხაროდ, სათანადოდ დაფასებული არ არის.

აღვავლენთ ლოცვებს მისი უკვდავი სულისთვის, რათა უფალმან აცხოვნოს იგი და სავანესა მართალთასა დააწესოს, ხოლო ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მომადლოს მშვიდობა და ბ-ნ ანზორისთვის ლოცვის ძალა.

ილია II, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
10.04.2022

ხელდასხმა

2022 წლის 13 მარტს ახალციხის წმინდა შალვა ახალციხელის სახელობის საკათედრო ტაძარში **ახალციხისა და ტაო-კრარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) დიაკვნად აკურთხა ლაშა აღოშაშვილი** და სახელად **მათე** უწოდა.

***

2022 წლის 7 აპრილს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების დღესასწაულზე, **ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი)** ქუთაისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძარში **მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ იაკობ ბენიძეს.**

***

2022 წლის 7 აპრილს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების დღესასწაულზე, **ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) დიაკვნად აკურთხა გრიგოლ კონჯარია,** რომელიც ნარაზენის ხარების სახელობის ტაძარში იმსახურებს.

***

2022 წლის 10 აპრილს **ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) დიაკვნად აკურთხა ლევან ბიგვავა,** რომელიც ნარაზენის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძარში იმსახურებს.

აღკვეცა

2022 წლის 7 აპრილს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დღესასწაულზე, **ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ იოანეს (გამრეკელი) ლოცვა-კურთხევით,** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიონის წმინდა ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტერში **არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა (პიტნავა) ბერად აღკვეცა მორჩილი გაბრიელი (ვაშაკიძე).**

***

9 აპრილს, **ჭყონდიდის, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი)** ცაგერის რაიონში მდებარე ჩქუმის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტერში **მონაზვნად აღკვეცა მორჩილი გიორგი ლომსაძე და უწოდა სახელი სპირიდონი.**

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ბოდბის მონასტრის წმინდა გიორგის საკათედრო ტაძრის სტიქაროსანს **ზურა მარტაშვილს გარდაეცვალა დედა - ნაზი ჭაბაშვილი.**

საპატრიარქოს პრესცენტრი უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს. გთხოვთ ლოცვებში მოიხსენიოთ **ახლადშესვენებული ნაზი.**

საპატრიარქოს უწყებანი

ქრონიკა. ინფორმაცია.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადებები

16.05.2022

მოსკოვის საპატრიარქოს ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მილოცვა ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტისადმი, ე.წ. არჩევნებში მის გამარჯვებასთან დაკავშირებით.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის აღნიშნული წერილი ბადებს გაუგებრობას, რადგან:

ა. რუსეთის ეკლესია აღიარებს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

ბ. საქართველოს ეკლესია, საქართველოს სახელმწიფო და საერთაშორისო საზოგადოებაც ცნობს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს, ხოლო ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედ ადმინისტრაციებს მიიჩნევს საოკუპაციო რეჟიმად.

სამწუხაროა, რომ დღეს, როდესაც მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ურთიერთობების გამყარების ყოველი მცდელობა უმნიშვნელოვანესია, იდგმება ისეთი ნაბიჯები, რომელიც უარყოფითად მოქმედებს არსებულ მდგომარეობაზე და ართულებს ვითარებას.

***

13.05.2022

ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი მელქისედეკი (ხაჩიძე) საქართველოს საპატრიარქოში გამართულ შეკრებაზე დასჯილ იქნა კომისიის მიერ და აეკრძალა სასულიერო პირების ხელდასხმა.

განვმარტავთ, რომ აღნიშნულ კომისიაზე მოხდა შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, რომ საპატრიარქოს სამღვდელო კომისიას გაივლიან მარგვეთისა და უბისის ეპარქიაში სასულიერო პირად ხელდასხმის კანდიდატები. რაც შეეხება ინფორმაციას ეპისკოპოსის დასჯის და ხელდასხმის უფლების შეჩერების შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება.

ხელდასხმანი

2022 წლის 15 მაისს საჩხერის საკათედრო ტაძარში ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი) დიაკვნად აკურთხა სოფელ ქორეთის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძრის მედავითნე **გიორგი ხობუა.**

***

6 მაისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფ. ნიგვზიანის წმ. გიორგის სახ. ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) დიაკვნად აკურთხა ჩოხატაურის წმ. იოაკიმ და ანას სახ. ტაძრის მედავითნე **ევგენი ხაბულიანი** და სახელად **იოანე** უწოდა.

***

2022 წლის 8 მაისს, წმ. მენელსაცხებლე დედათა ხსენების დღეს, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) ქუთაისის წმ.

მენელსაცხებლე დედათა სახელობის მონასტერში მღვდლად დაასხა ხელი ბერ-დიაკონ **რაჟდენს (ყაჭეიშვილი).**

***

იუბილე

გულითადად ვულოცავთ დაბადებიდან 80 წლის იუბილეს თანამედროვე ქართული იურისპრუდენციის პატრიარქს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აღიარებულ იურისტსა და მამულიშვილს, დიდ მოძღვარსა და უფროს კოლეგას, ბატონ **მინდია უგრეხელიძეს**.

ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ქართული სამართლის მეცნიერების განვითარების საქმეში,

ლის ქართულ უნივერსიტეტშიც მოღვაწეობდა და თავისი ცოდნა ახალგაზრდებს აქაც გაუზიარა.

ღმერთმა დალოცოს იგი, მომადლოს ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და უფლის გზით სვლის უნარი.

ღმერთმა დალოცოს მისი ოჯახი.

პატივისცემით,

ილია II, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
18.05.2022

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვა საქართველოს ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ასოციაციას

საქართველოს ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ასოციაციას, მოხარულნი ვართ, რომ ა.წ 17 მაისს ოჯახის სიწმინდისა და სიმტკიცის დაცვის დღეს, თქვენი ღონისძიება ეძღვნება ძუძუთი კვების პროპაგანდასა და ბავშვებში წიგნის კითხვისადმი ინტერესის გაზრდას. ორივე თემა მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

საქართველოს ეკლესია მიესალმება ძუძუთი კვების ტრადიციის აღდგენას და მომავალშიც ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით განხორციელებულ ყველა წამოწყებასა და ღონისძიებას.

დედის რძე ბავშვისთვის არის შეუცვლელი საკვები, — მომავალი თაობის სიჯანსაღის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი და ეს ყველამ უნდა გაიაზრებიროს.

რაც შეეხება ყმაწვილებში წიგნისადმი დამოკიდებულების ამაღლებას, ახალი ტექნოლოგიების საუკუნეში სწორად აღზრდისათვის ესეც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ჩვენ 6-7 წლის წინ დავიწყეთ წიგნის კითხვის პროპაგანდა და ამ მიზნით არაერთი ღონისძიება განვახორციელეთ, მათ შორის ჩვენი ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნის" საშუალებით; დღეს ეს თემა უკვე ინტერესის საგანს წარმოადგენს და ამაში სერიოზული წვლილი შეაქვს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასაც.

მოხარულნი ვართ, რომ აღნიშნულ საკითხს სამედიცინო კუთხითაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ და იგი სწორად აღზრდის შემადგენელ აუცილებელ ნაწილად მიგაჩნიათ.

ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ და თქვენი ხელშემწყობნი, ასევე დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე მზრუნველი სხვა ორგანიზაციები.

ღმერთმა დალოცოს ჩვეენი დედები, ჩვენი ბავშვები და მათი ხვალინდელი დღე.

ილია II, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
20.05.2022

ტაძართა კურთხევა

1 მაისს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) სოფ. რუისში აკურთხა **კვირაცხოვლობის სახ. ტაძარი.**

***

12 მაისს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) სოფ. **მოხისში აკურთხა თორმეტი მოციქულის სახ. ტაძარი.**

ხელდასხმა

29 მაისს შატბერდის მამათა მონასტრის წმ. ეკატერინეს სახ. ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა სარკის მამათა მონასტრის წევრი, **მონაზონი არსენი (ასათიანი).**

სიდონია გაჩეჩილაძეს ვულოცავთ იუბილეს!

მორჩილ სიდონია გაჩეჩილაძეს გულითადად ვულოცავთ 70 წლის იუბილეს და ვუსურვებთ მრავალჟამიერ ღვთივსათნო სიცოცხლეს და ნაყოფიერ შემოქმედებით ცხოვრებას!

30 წლის წინ სიდონია გაჩეჩილაძემ თბილისის სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში დააფუძნა პირველი ხატწერის სკოლა, რომელმაც ხატმწერთა არაერთი თაობა აღზარდა.

ამჟამად იგი სოფელ ასურეთის ალგეთისპირის წმინდა გიორგის სახელობის დედათა მონასტრის კეთილმოწესეა.

აღკვეცა

8 მაისს, მენელსაცხებლე დედათა კვირას, ციხედიდის ღვთისმშობლის მიძინების დედათა მონასტერში, არქიმანდრიტმა გიორგიმ (თელია) მონაზვნებად აღკვეცა: **ნინო ნადიბაიძე, სახელად ეკატერინე ეწოდა და ეთერ გაგულიძე სახელად — მართა.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი ბატონი ლექსო (ალექსანდრე) თორაძის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს

მსოფლიო მუსიკალურ საზოგადოებას გამოაკლდა სულიერებით, სიყვარულითა და სიფაქიზით გამორჩეული თანამედროვეობის უდიდესი პიანისტი და ღირსეული პიროვნება, — ბატონი ლექსო (ალექსანდრე) თორაძე.

იდნიდან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თითქმის ყველა კურსდამთავრებული პირველივე წელს წარმატებით აბარებს საქართველოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში.

ლექციები ქრისტიანული მოძღვრების შესახებ

ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2022 წლის 13-17 ივნისს ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიაში ჩატარდა კულტურულ-საგანმანათლებლო ლექციები მოსახლეობისა და მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის.

ლექციები ჩატარდა ქრისტიანული მოძღვრების, ჰაგიოგრაფიისა და თანამედროვე ლიტერატურის შესახებ.

ხელდასხმა

2022 წლის 19 ივნისს, ყოველთა წმიდათა კვირას, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკონ გიორგი გველესიანს.**

აქსიოს! ვულოცავთ მღვდელ გიორგის, ღმერთმა ღირსეულად ამსახუროს ღვთის სადიდებლად და ერის საკეთილდღეოდ!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი ლევან კბილაშვილის გარდაცვალების გამო

სიონის ტაძრის მგალობელი, ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებელი, ბოლო დროს კი საესტრადო ჟანრში მოღვაწე ლევან კბილაშვილი სრულიად ახალგაზრდა წავიდა ჩვენგან და თან გაიყოლა მრავალთა გულისტკივილი.

გამორჩეული ხმისა და სულიერი სამყაროს მქონე ეს პიროვნება ჯერ კიდევ ძიების პროცესში იყო და მრავალი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი, თუმცა ღვთის წინაშე სურვილიც საქმედ შეერაცხება.

აღვავლენთ ლოცვებს ლევანის უკვდავი სულისათვის, რათა უფალმა სავანესა მართალთასა დააწესოს იგი, ხოლო მის მშობლებს, და-ძმასა და ახლობლებს მოანიჭოს ლოცვის ძალა და ურყევი რწმენა მარადიული ცხოვრებისა, რომლის მკვიდრიც ლევანი უკვე გახდა.

ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
26.06.2022

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი

ქალბატონ მანანა ჩოგოვაძე-ჯიბლაძეს, მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს,

ვემშვიდობებით განათლების სფეროში საერთაშორისო სივრცეში აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, გამორჩეულ ინტელიგენტს, აკადემიკოს **გოჩა ჩოგოვაძეს.**

დაახლოებით 30 წლის წინ მომხდარმა ტრაგედიამ, რომელმაც ქვეყანა შეძრა, მისი შვილიც შეიწირა. ამ დროიდან სრულიად შეიცვალა ბატონი გოჩას და მისი ოჯახის ცხოვრება. ღრმა მწუხარებამ მოიცვა მათი სული, მაგრამ ღმერთი ჰპოვეს და ნუგეშიც, თუმცა სევდა ბოლომდე დარჩა წარუხოცელი.

აღვავლენთ ლოცვებს ბატონი გოჩას უკვდავი სულისათვის, რათა იგი უფალმან შვილთან, გიორგისთან, ერთად სავანესა მართალთასა დააწესოს, ხოლო ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მოანიჭოს მშვიდობა.

ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
16.06.2022

***

გარდაიცვალა **მონაზონი ანა (სურგულაძე).** იგი გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან სამთავროს დედათა მონასტრის მორჩილი იყო, 2001 წლის აპრილში კი მონაზვნად აღიკვეცა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, დედა ანა უკანასკნელ წლებში შინ მონასტრული ტიპიკონის დაცვით ცხოვრობდა.

***

მწუხარებას გამოვთქვამთ მონაზონ ანას გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს. უფალმა სავანესა მართალთასა დააწესოს მისი უკვდავი სული. გთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლად შესვენებული მონაზონი ანა

***

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული, ხაშურის წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლის დირექტორი, **ქალბატონი ქეთევან ტეფნაძე** და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და სკოლის კოლექტივს. გთხოვთ ლოცვებში მოიხსენიოთ **ახლად შესვენებული ქეთევანი.**

ტარესმა ილია II-მ დალოცა სტუმრები და ბრძანა: „ღმერთმა დალოცოს ორივე ქვეყანა და მშვიდობა მოგვცეს ღმერთმა“.

ღონისძიების დასრულების შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სახელით გაიმართა საზეიმო ვახშამი, რომელსაც ჩამოსულ სტუმრებთან ერთად დაესწრნენ საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლები და მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის განცხადება

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიაში, ქობულეთის საერთაშორისო სკოლა-ბანაკ „სამშობლოში“ ორი კვირით (ივლისსა და აგვისტოში) დასასვენებლად მოწვეული იქნა 200 უკრაინელი მოზარდი მშობლებთან ერთად.

ბანაკში, გარდა დასვენებისა, ისწავლება ქართული ენა, საქართველოს ისტორია, ცეკვა, სიმღერა, ეწყობა ექსკურსიები და სპორტული შეჯიბრებები.

თანადგომისთვის მადლობას ვუხდით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, ბიზნესმენებს: თემურ ჭყონიას, ზაზა გოგოტიშვილსა და თენგიზ ბაკურიძეს.

ღმერთმა მშვიდობა ჰყოს უკრაინასა და მთელ მსოფლიოში!

ძველ ხიბულაში ტაძარი იკურთხა

2022 წლის 18 ივლისს ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა (ბერბიჭაშვილი) ძველ ხიბულაში მართალი ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების სახელობის ტაძარი აკურთხა და სადღესასწაულო ლიტურგია აღასრულა. ტაძრის კურთხევასა და ღვთისმსახურებაში ასევე მონაწილეობდნენ წმინდა სინოდის წევრები — შემოქმედელი მიტროპოლიტი იოსები (კიკვაძე) და მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი მელქისედეკი (ხაჩიძე).

ტაძართან ერთად აშენდა სამრეკლო, სამრევლო სკოლა და დასასვენებელი პარკი. ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მემორიალურ სახლს.

სამუშაოები მთლიანად ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით განხორციელდა.

ტაძრის კურთხევის ცერემონიას ასევე ესწრებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია ადგილობრივი ხელისუფლებისა და ფონდ „ქართუს“ წარმომადგენლებთან ერთად.

ხელდასხმა

2022 წლის 10 ივლისს ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ პანტელეიმონ ფაცაციას, რომელიც დადგენილ იქნა სოფელ ოდიშის წმინდა გაბრიელ აღმსარებლისა და სალოსის სახელობის ტაძრის წინამძღვრად.

2022 წლის 24 ივლისს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ იოანე სოსელიას. მღვდელი იოანე მცხეთა-თბილისის ეპარქიაში იმსახურებს;

მანვე **დიაკვნად აკურთხა ილია სამხარაძე.** დიაკონი ილია მცხეთა-თბილისის ეპარქიაში იმსახურებს.

დახმარება უკრაინიდან ლტოლვილებს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოს ახალგაზრდულმა ორგანიზაცია „დავითიანნმა“ დაიწყო ჰუმანიტარული მისიის მეორე ეტაპის ორგანიზება საქართველოში მყოფი დევნილი უკრაინელი მოსახლეობისათვის.

25 ივლისიდან სამების ეკლესიის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს საინფორმაციო-ჰუმანიტარული დახმარების ცენტრი, სადაც დახმარების გაწევა შეუძლია ყველა მსურველს, ნებისმიერი ფორმით — იქნება ეს საკვები, მედიკამენტები, ტანსაცმელი თუ სხვა საჭირო ნივთი, რომლის დახარისხებას და გაცემას უზრუნველყოფენ ,,დავითიანნისა“ და ორგანიზაცია ,,ჩვენი უკრაინას“ მოხალისეები.

ასევე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მართმადიდებლური ქრისტიანული ორგანიზაცია IOCC-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა 1000 ერთეული 100-ლარიანი სუპერმარკეტების ქსელის ვაუჩერის შეძენა, რომელიც. გაიცემა დევნილ უკრაინელებზე შემდეგი კატეგორიების მიხედვით: ორსულები, მარტოხელა დედები, ოჯახები მცირეწლოვანი შვილებით, შშმ პირები, 60 წელს გადაცილებულები.

მადლობას მოვახსენებთ ორგანიზაციის IOCC-ს წარმომადგენლობას საქართვეელოში აღნიშნული მხარდაჭერისთვის.

მიტროპოლიტ გერასიმესთან ერთად ღვთისმსახურებაში მონაწილეობდნენ: არქიმანდრიტი აბიბოსი (ტარიადისი), არქიმანდრიტი სინესიოსი (კალანდაძე), მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი (ხვიჩია), დეკანოზი გელასი პულუზაშვილი, მღვდელი ზაქარია გათენაძე, პროტოდიაკონი მირიან სხირტლაძე, პროტოდიაკონი აბრაამ ხარატიშვილი.

საზეიმო ლიტურგიას ესწრებოდნენ საქართველოს ელჩი საბერძნეთის რესპუბლიკაში, ბატონი დავით დონდუა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ათენში მცხოვრებმა ქართველებმა უდიდესი მადლიერება გამოხატეს მისი უწმინდესობის მზრუნველობის გამო, მადლობა გადაუხადეს მიტროპოლიტ გერასიმეს და აღნიშნეს, რომ ეს დღე თითოეული მათგანისათვის სიხარულისა და ნუგეშის მომტანი იყო.

ლექცია საინგილოს შესახებ რუსთავში

25 სექტემბერს, რუსთავში, გ. ლეონიძის ქუჩაზე მდებარე ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის სამრევლო დარბაზში საინგილოს შესახებ ლექცია ჩატარდა, რომელსაც მრევლის წევრები ესწრებოდნენ. ამ ისტორიული ქართული კუთხის ისტორიის, დღევანდელობისა და კახის რაიონის მოქმედ და არამოქმედ ქართულ ტაძრებზე აზერბაიჯანის მოქალაქე ქართველმა სასულიერო პირმა - მამა ტარიელ ფოლადაშვილმა ისაუბრა. შეხვედრაზე გულისტკივილით აღინიშნა ისიც, რომ სამწუხაროდ ქართული საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი თითქმის არ იცნობს ალაზანს მიღმა, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, განსხვავებით აზერბაიჯანის საზოგადოებისა, რომელიც კარგად იცნობს ქვემო ქართლში („ბორჩალოში") მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელებს.

შეხვედრას ესწრებოდა ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი ვახტანგ ყიასაშვილი, რომელმაც მამა ტარიელს მადლობა გადაუხადა საინტერესო საუბრისთვის და აღნიშნა, რომ ამიერიდან თვეში ერთხელ სხვადასხვა პროფესიის რუსთაველებს მოიწვევენ ეკლესიის სამრევლო დარბაზში მრევლთან შეხვედრებისთვის. სიმბოლური იყო ისიც, რომ პირველი შეხვედრა საზღვარს მიღმა მცხოვრებ ჩვენებურებს ეძღვნებოდა.

სერგო კერესელიძე

ხელდასხმა

2022 წლის 21 სექტემბერს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე, გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) დიაკვნად აკურთხა **რობერტ გუგუნაშვილი და სახელად უწოდა რომანოზი**. დიაკონი რომანოზი ამავე ეპარქიაში იმსახურებს.

დალოცვა

ა.წ. 3 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქართველი ძიუდოისტები დალოცა და გამარჯვებები უსურვა.

მოჭიდავეები მის უწმინდესობას ყაზახეთში მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების წინ ეწვივნენ.

ახალი წიგნებიდან

გამომცემლობა „ალილომ" საკუთარ თავზე იტვირთა სრულად, ერთ სერიაში გამოსცეს ათონის მთის შესახებ არსებული ქართულენოვანი მასალა, სამეცნიერო და სასულიერო ჟანრის, ასევე, ისტორიული ტექსტები და ლიტერატურა, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს პილიგრიმებს.



სერიის სახელწოდებაა „ათონის მთა", უკვე გამოიცა ორი ნაწილი.

საუბარი შეეხო ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ მრავალმხრივ ურთიერთობებს, ასევე საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, მათ შორის უკრაინის თემას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გაიხსენა მისი ვიზიტი დიდ ბრიტანეთში, შეხვედრა მის უდიდებულესობა დედოფალ ელისაბედ II-სთან და კიდევ ერთხელ გამოთქვა მწუხარება დედოფლის გარდაცვალების გამო.

ბატონმა მარკ კლეიტონმა მის უწმინდესობას მიღებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა საქართველოს ეკლესიისა და პირად კათოლიკოს-პატრიარქის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებასა და ერის განმტკიცებაში. მან ასევე დასძინა, რომ დიდი ბრიტანეთი მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას და თავის მხრივ ყველაფერს გააკეთებს ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების შემდგომი დაახლოებისათვის.

კურთხევა

2022 წლის 6 ნოემბერს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) ქუთაისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების — სიონის (ბაგრატი) საკათედრო ტაძარში დიაკვნად ხელი დაასხა **ნიკა ნიკოლაძეს** და მღვდლად აკურთხა დიაკონი **გრიგოლ გეგუჩაძე.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მილოცვა სრულიად ალბანეთის მთავარეპისკოპოსისადმი

მის უნეტარესობას, ანასტასიოსს მიტროპოლიტს ტირანისა და მთავარეპისკოპოსს სრულიად ალბანეთისა

თქვენო უნეტარესობავ, ქრისტესმიერ საყვარელო ძმაო,

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს.

თქვენ ბრძანდებით ერთ-ერთი უხუცესი ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურთა შორის, რომელმაც დიდი და ფრიად ნაყოფიერი გზა განვლეთ უფლის სამსახურში და გამორჩეული წვლილი შეიტანეთ ალბანეთის ეკლესიის ისტორიაში.

შევთხოვთ ღმერთს, კვლავაც მრავალი წელი გამსახუროთ მსოფლიო მართლმადიდებლობის საკეთილდღეოდ.

ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით,

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

თბილისი, 2022

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მილოცვა

ჭყონდიდის, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტ **სტეფანეს (კალაიჯიშვილი)** და მესტიიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტ ილარიონს (ქიტიაშვილი) ვულოცავ ეპისკოპოსად კურთხევის 20 წლისთავს.

მადლობელი ვარ, რომ თქვენ ძალისამებრ თქვენისა ემსახურებით დედა ეკლესიას, ჩვენს მრევლს.

უფალმა შეგაძლებინოთ კვლავაც მრავალი ღვთისსათნო საქმის აღსრულება.

გეწეოდეთ ყოვლადწმინდა სამება, დედა ღვთისა და ყოველნი ზეციური ძალნი.

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

27.10.2022

***

საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი და „საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია ულოცავს ჭყონდიდის, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტ **სტეფანეს (კალაიჯიშვილს)** მღვდელმთავრად კურთხევის 20 წლისთავს. მრავალჟამიერ სიცოცხლეს, მხნეობას და გამძლეობას გისურვებთ მეუფეო!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მილოცვა ემერიტუს-პროფესორს ქალბატონ, შუშანა ფუტკარაძეს

აჭარაში და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქართველთა სულიერ-კულტურული მემკვიდრეობის ცნობილ მკვლევართა შორის მრავალმხრივი თემატიკითა და მასალის უნიკალურობით სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია აღიარებულ მეცნიერს, ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს.

თავისი გვარის მსგავსად იგი ფუტკარივით დასტრიალებს ძველ ფოლიანტებს, ხელნაწერებს, წიგნებს აგროვებს ხალხში გაბნეულ გადმოცემებს, ულრმავდება ტოპონიმებს, წეს-ჩვეულებებს და თაფლად ქცეულ შეძენილ ცოდნას მეტად მნიშვნელოვანი წიგნების სახით აწვდის ჩვენს საზოგადოებას.

გულითადად ვულოცავთ მას დაბადების საიუ-

ამ დანაშაულზე უხეში ფორმით საუბარი, ადგილი ჰქონდა ციინიზმსაც... რაც, თავის მხრივ, ამორალურობისა და დაუნდობლობის მაგალითია.

ამავე დროს გვინდა, მადლობა გადავუხადოთ საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აღნიშნულ ტრაგედიასთან დაკავშირებით დიდი გულისტკივილის გამოხატვისა და ჩვენი მწუხარების გაზიარებისათვის.

ვიმედოვნებთ, ობიექტური გამოძიების შედეგები მალე გახდება ცნობილი.

27.11.2022

ხელდასხმა

2022 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, წალკელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა (კაცია) მღვდლად აკურთხა **დიაკონი გიორგი კუნჭულია.**

***

2022 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, თიანეთის და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსმა მიქაელმა (გაბრიჭიძე) მღვდლად აკურთხა ბერ-დიაკონი **გაბრიელი (კოხრეიძე). მღვდელ-მონოზონი გაბრიელი** დადგენილია შარახევის მამათა მონასტრის წინამძღვრად.

***

2022 წლის 13 ნოემბერს, 100 000 მოწამის ხსენების დღეს, გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა) სამთავისის ამაღლების სახელობის საკათედრო ტაძარში დიაკვნად ხელი დაასხა **გიორგი ღვალაძეს.**

***

ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი):

2022 წლის 6 ნოემბერს დიაკვნად ხელი დაასხა **ნიკა ნიკოლაძეს**, ხოლო მღვდლად აკურთხა დიაკონი **გრიგოლ გეგუჩაძე.**

13 ნოემბერს, წმინდა 100 000 მოწამის ხსენების დღეს, მღვდლად აკურთხა დიაკონი **ილია მეტონიძე.**

შინდისის დედათა მონასტერს ჩვენი დახმარება სჭირდება!

ხანძრისგან დაზარალებულ შინდისის დედათა მონასტერს სჭირდება ჩვენი თანადგომა და დახმარება.

არქიმანდრიტი ადამ ახალაძე და იღუმენია თამარი მოუწოდებენ ადამიანებს, გვერდში დაუდგნენ მონასტერს ამ მძიმე განსაცდელის ჟამს. მამა ადამი წერს: „თამარწმინდა მადლიერია თითოეული ადამიანის, რომელმიც ხანძრით გამოწვეული მძიმე შედეგების დაძლევის მიზნით მხარში ამოგვიდგა, გაიღო შემოწირულობა, მობრძანდა მონასტერში, დაგვეხმარა სასწრაფო სამუშაოებში...

თქვენს თანადგომას სიხარული შემოაქვს ჩვენს გულებში, თუმცა მონაზვნების საცხოვრებლის, ბიბლიოთეკის, სამლოცველოსა და სხვა სივრცეების აღდგენასა და წესრიგში მოყვანას კიდევ უამრავი რესურსი დასჭირდება..."

ანგარიშის ნომერია:

სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22
მიმღები: ახალაძე ვახტანგ
მიმღების ანგარიში: GE29BG0000000256826800

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი ზურაბ კიკნაძის გარდაცვალების გამო

ბატონი ზურაბ კიკნაძე იყო ჩვენი დროის ინტელიგენციის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, უაღრესად განათლებული, სულიერი თვალით მზირალი გამორჩეული ადამიანი, რომლის შინაგანი სამყარო მოიცავდა შუამდინარეთის ლიტერატურასა და მითოლოგიას, ქართულ ფოლკლორსა და მითოლოგიას, ქრისტიანობასა და ქრისტიანულ კულტურას, ქართულ მწერლობას, ბიბლიას — ძველ და ახალ აღთქმას... ზოგადად, მსოფლიო კულტურის საგანძურს.

განსაკუთრებულია მისი ღვაწლი ძველი აღთქმის თარგმნაში და, საერთოდ, ბიბლიის ახალქართული ტექსტის გამოცემაში, რითაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია წმინდა წერილით დაინტერესებულ ჩვენს საზოგადოებას.

აღვავლენთ ლოცვებს ბატონი ზურაბის უკვდავი სულისათვის, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დააწესოს იგი, ხოლო მისი ოჯახის წევრები და ახლობლები მშვიდობით აკურთხოს დ მიმადლოს ლოცვის ძალა.

ილია II, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
26.11.2022

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ნოდარ ნათაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

დღეს ვემშვიდობებით ბატონ ნოდარ ნათაძეს — ცნობილ ფილოსოფოსს, პოლიტიკოსს, ეროვნულ მოღვაწეს; პატიოსნებით, გულწრფელობით, პირდაპირობით გამორჩეულს, რომელიც ყოველთვის დიდი პატივისცემით სარგებლობდა საზოგადოებაში და ღვთის წინაშეც მაზიარებელ პიროვნებად წარსდგება.

აღვავლენთ ლოცვებს, რათა მისმა უკვდავმა სულმა სავანე მართალთა დაიმკვიდროს, ხოლო ახლობლებსა და გულშემატკივართ მომადლოს მშვიდობა და ლოცვითი შეწევნის ძალა.

ილია II, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
18.11.2022

ქრონიკა. ინფორმაცია.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება (11.12.2022)

უკრაინასა და მსოფლიოში არსებული რთული ვითარების გათვალისწინებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებისა და დაბადების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის კურთხევით, ღონისძიებები ზოგადად შეზღუდული სახით ჩატარდება. ამასთანავე, არ იგეგმება ეკლესიათა მეთაურების, მათი წარმომადგენლების ან საერო პირთა მოწვევა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ესტუმრა

ა.წ. 6 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი მიიღო.

ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა მის უწმინდესობას წარუდგინა და გააცნო იორდანიაში წმინდა მიწაზე დაგეგმილი ქართული სავანის მშენებლობის პროექტი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი ჯამბულათ ხოფერიას გარდაცვალების გამო

გამოვთქვამთ გულისტკივილს უკრაინაში დაღუპული ქართველი მებრძოლის — ჯამბულათ ხოფერიას გარდაცვალების გამო.

იგი საქართველოსთვის მებრძოლი ოჯახის შვილია და თავადაც სიცოცხლე სხვათა დასაცავად გასწირა.

ღმერთი შეეწიოს და მის უკვდავ სულს თვისი სავანე დაუმკვიდროს; ოჯახის წევრებსა და ახლობლებს კი ლოცვის ძალა მისცეს და განაძლიეროს რწმენამ იმისა, რომ სიკვდილი რეალურად არ არსებობს და რომ გარდაცვალება მხოლოდ დროებითი განშორებაა ახლობლებთან.

ილია II, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
08.12.2022

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი

ოთარ გაგუას, ბორის ბერულავას, სპირიდონ (ფრიდონ) თირქიას, ხვიჩა დეკანოსიძის, რევაზ კვარაცხელიას, ვახტანგ ხოჯანაშვილის, ბიძინა უშხვანის, ზვიად უშხვანის, გიორგი ჯოხაძის, ოთარ თუთისანისა და იური (გიორგი) მაჭარაშვილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს

დღეს სამების საკათედრო ტაძარში აფხაზეთის ომში გარდაცვლილი 11 პიროვნება მოასვენეს, ყოველი ასეთი სიტუაცია ანახლებს ჩვენს ჭრილობას და ძმათა შორის დაპირისპირების 30 წლის წინანდელ ტკივილს გვიმძაფრებს.

ღმერთმა დალოცოს ოთარის, ბორისის, სპირიდონის (ფრიდონის), ხვიჩას, რევაზის, ვახტანგის, ბიძინას, ზვიადის, გიორგის, ოთარის და იურის (გიორგის) უკვდავი სულნი და სავანე მართალთა დაუმკვიდროს, ხოლო მათი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მიანიჭოს მშვიდობა და ლოცვის ძალა.

ილია II, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
7 დეკემბერი, 2022 წ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი ბახმუტთან გარდაცვლილი ქართველების გამო

ავთანდილ რურუას, რომეო კვარაცხელიას, რომეო ფიჩხაიას, მერაბ ალადაშვილისა და ბადრი მარკელიას ოჯახის წევრებსა და ახლობლებს

დიდია თქვენი და ჩვენი მწუხარება ა.წ. 3 დეკემბერს ბახმუტთან სასტიკი ბრძოლის დროს ხუთი ქართველის — ავთანდილის, რომეოს, რომეოს, მერაბის და ბადრის გარდაცვალების გამო, რომელთაც მოყვასის თანადგომისათვის გაწირეს სიცოცხლე.

აღვავლენთ ლოცვებს, რათა უფალმა სავანესა მართალთასა დააწესოს მათი უკვდავი სული, ხოლო თქვენ მოგანიჭოთ ლოცვის ძალა და ურყევი რწმენა იმისა, რომ სიცოცხლე არ მთავრდება გარდაცვალებით, არამედ იგია დასაწყისი მარადიული, ჭეშმარიტი ცხოვრებისა, რომლისთვისაც ჩვენ ყველანი უნდა მოვემზადოთ.

ილია II, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
07.12.2022

ხელდასხმა

2022 წლის 4 დეკემბერს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულზე, ქუთაისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის (ბაგრატი) საკათედრო ტაძარში ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) დიაკვნად დაასხა ხელი **დიმიტრი დათუკიშვილს** და უწოდა **სვიმეონი.**

***

11 დეკემბერს წალკის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის შობის სახ. საკათედრო ტაძარში წალკელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა (კაცია) მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ **გიორგი სულაქველიძეს.**

ტაძრის კურთხევა და დაჯილდოება

3 დეკემბერს შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) აკურთხა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. **ჭანიეთის** ცამეტი ასურელი მამის სახ. ტაძარი.

იმავე დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მიტროპოლიტმა იოსებმა ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა ეპარქიის სამღვდელოება:

ილუმენი **იოსები (ღლონტი)** — აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში;

მღვდელ-მონაზონი **იოსები (პეპინაშვილი)** — დაჯილდოვდა ოქროს ჯვრით და აყვანილ იქნა ილუმენის ხარისხში.

28-Ე ᲙᲕᲘᲠᲐ ᲡᲣᲚᲗᲛᲝᲤᲔᲜᲝᲑᲘᲓᲐᲜ

„განა ათივე არ განიწმინდა? სადღა არიან ცხრანი?“ — იკითხა უფალმა, მწუხარემ და გაოცებულმა

ერთ სოფელში შესვლისას შემოეგება ათი კეთროვანი კაცი, რომლებიც მოშორებით შედგნენ და შეღაღადეს: იესო, მოძღვარო, შეგვიწყალე ჩვენ! ისინი რომ დაინახა, უთხრა: წადით და ეჩვენეთ მღვდლებს. და წავიდნენ თუ არა, განიწმინდნენ. ხოლო ერთი მათგანი, რომელმაც დაინახა, რომ განიკურნა, მობრუნდა და ხმამაღლა ადიდებდა ღმერთს. იესოს ფერხთით დაემხო და მადლი შესწირა; და იყო იგი სამარიელი. მიუგო იესომ და უთხრა: განა ათივე არ განიწმინდა? სადღა არიან ცხრანი? არც ერთი არ მობრუნებულა ღმერთის სამადლობლად, ამ უცხო თესლის გარდა. უთხრა მას: ადექ და წადი! შენმა რწმენამ გადაგარჩინა(ლუკ. 17 :12-19).

დღევანდელი სახარება კეთროვანთა განკურნების შესახებ მოგვითხრობს.

იერუსალიმისკენ მიმავალ მაცხოვარს ერთი სოფლის შესასვლელთან დახშული, მწუხარებით სავსე ხმა მოესმა. ესენი იყვნენ კეთროვანები, ცხრა ისრაიტელი და ერთი სამარიელი — ებრაელებისთვის საძულველი უცხოტომელი.

ებრაელები ჩვეულებრივ ვითარებაში სამარიელს გვერდით არ დაიყენებდნენ, თუმცა ამჯერად საშინელმა სენმა გააერთიანა ისინი. კეთროვანებმა შენიშნეს მათკენ მომავალი მაცხოვარი და მიახლოება ვერ გაბედეს, ვინაიდან მათთან ახლოს ჩავლაც კი წამბილწველად მიიჩნეოდა. ამ სენით შეპყრობილები ვალდებული იყვნენ გზად მომავალნი წინაწარ გაეფრთხილებინათ სულისშემძვრელი შეძახილით: „უწმინდური, უწმინდური!“

კეთრის შეყრა ნიშნავს ცოცხლად სიკვდილს. ეს არის ტანჯვის საშინელი ფორმა, რომელიც სრულიად შლის ადამიანს, ხდის უსახურს, ნელ-ნელა უფარავს მთელ სხეულს წყლულებით, რაც სიკვდილზე უარესია.

და მოესმა უფალს მათი ძლივს გასაგონი ხმა: „იესო, მოძღვარო, შეგვიწყალე ჩვენ!“, უფალმა მაშინვე უპასუხა მათ: „წადით და ეჩვენეთ მღვდლებს!“ ამ სასწაულთმოქმედი ხმის გაგონებისას სნეულებმა სხეულში სიცოცხლე იგრძნეს, ძარღვებში სისხლის სვლა, ძალის მატება. ასევე გაიგონეს, რომ მღვდელთან უნდა წავიდნენ, რათა მიიღონ კურნების დასტური და საზოგადოებაში ცხოვრების შესაძლებლობა აღუდგეთ.

საყურადღებოა თუ რატომ გაგზავნა უფალმა ისინი მღვდელთან. განა თავად არ არის სამების პირი, მეუფე ყოველთა და მოძღვართ მოძღვარი? ქრისტემ ამით განაცხადა, რომ ამ ადამიანებმა კურნება მიიღეს იმისგან, ვისი ცნობაც არათუ არ სურთ მღვდლებსა და კაცთა მტრებს, არამედ დევნიან კიდეც და მის სიკვდილს განიზრახავენ. ამასთან, ქრისტე ამოწმებს, რომ მღვდლობა კაცთა მიერ ჩამოყალიბებული ინსტიტუტი კი არ არის, არამედ თავად ღვთისგანაა დადგენილი. ასევე, ჩვენ ვიცით, რომ ისრაელის მტრები ქრისტეს სჯულის დარღვევაში ადანაშაულებდნენ და ახლა იგი კეთროვანების მღვდელთან გაგზავნით აჩვენებს, რომ მოვიდა არა რჯულის დასარღვევად, არამედ აღსასრულებლად.

ათივე კეთროვანმა ქრისტე მაცხოვრის ერთი სიტყვით მიიღეს დიდებული და შეუფასებელი ძღვენი, მაგრამ განუზომელია მათი უმადურობის სილრმე. ცხრა ისრაიტელს არც კი უფიქრია დაბრუნებოდნენ თავის ღვთაებრივ მაკურნებელს, რათა სათანადო მადლობა გადაეხადათ მისთვის. მათდა სამარცხვინოდ, მობრუნდა მხოლოდ ებრაელთა საძულველი „გოი“ - სამარიტელი, დაეცა მაცხოვრის ფეხებთან, მადლობდა მას და ღმერთს ადიდებდა. ქრისტეს გული შეჩვეული იყო ყოველგვარ უმადურებას, მაგრამ ამჯერად ძალიან შეაშფოთა ასეთმა უსირცხვილო საქციელმა.

უფალმა მაცხოვრის ამქვეყნად წარმოგზავნით დახმარების ხელი გაუწოდა თავის ხალხს, რომელსაც პირობა მისცა, რომ მოწყალებას არ მოაკლებდა, მაგრამ ძველმა ისრაელმა უარყო მისთვის ბოძებული დიდება, უარყო ქრისტე, თავისი მეუფე და მაცხოვარი.

ში საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრსა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანუმი, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა ერთობლივი სამეცნიერო-კულტურული პროექტები, საჯარო ლექციები, კონფერენციები და სხვადასხვა შეხვედრები.

ხელდასხმა

2022 წლის 11 დეკემბერს წალკელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა (კაცია) **მღვდლად აკურთხა დიაკონი გიორგი სულაქველიძე.**

***

მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსმა გიორგიმ (ჯამდელიანი): 2022 წლის 17 დეკემბერს წერაქვის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერში ბერად აღკვეცა **მორჩილი ნიკოლოზი (დადვანი) და სახელად უწოდა საბა.**

***

მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსმა გიორგიმ (ჯამდელიანი): 2022 წლის 18 დეკემბერს მარნეულის წმინდა კეთილმსახურ მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში **მღვდლად აკურთხა პროტოდიაკონი პეტრე პეტრიაშვილი.**

ჯილდო და იუბილე

დაბადებიდან 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი **ზაალ (ზაზა) აბაშიძე** დაჯილდოვდა ცენტრის ელენე მეტრეველის სახელობის მედლით.

გულითადად ვულოცავთ ბატონ ზაზას და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, შემდგომ წარმატებას და ნაყოფიერ მოღვაწეობას.

„პატრიარქი წინ უსწრებდა დროს; აწმყოში ის მომავლით ცხოვრობს!“

ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ იოანეს (გამრეკელი) საუბარი კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ღვაწლზე სულიერი განათლების სფეროში

უფალმა და მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ მოგვცა საზომი ცხოვრებისა. ეს არის არა წარმავალი, არამედ მარადიული ცხოვრობის საზომი. ადამიანი ყოველთვის უნდა იყოს ორიენტირებული მომავალზე; მაგრამ მომავალი აწმყოდან იწყება და აწყოს თავისი საწყისი აქვს წარსულში. ახალს არაფერს ვამბობთ. თუკი ეს პრინციპი ვრცელდება ცხოვრებაში, მაშინ ჩვენი ცხოვრება სწორად წარიმართება. როდესაც ჩვენი პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ინტრონიზაცია შედგა, ქვეყანაში იყო კომუნისტური, ბოლშევიკური, ათეისტური რეჟიმი, რომელიც ეკლესიას სულიერ განვითარებას უკრძალავდა და სასულიერო განათლების მიღებას ზღუდავდა. მცხეთაში პატრიარქ ეფრემ II-ის დიდი ძალისხმევით გაიხსნა სემინარია, მაგრამ მხოლოდ 10 აბიტურიენტს იღებდნენ, რადგან მეტის მიღების უფლებას მთავრობა არ აძლევდა.

ჩვენი პატრიარქის ინტრონიზაციიდან თითქმის 10 წლის შემდეგ, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მცხეთის სემინარია თბილისში გადმოიტანა და იმასაც მიაღწია, რომ მთავრობას არ შეეზღუდა აბიტურიენტების რაოდენობა.

ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი სულიერი განათლების აღორძინების სფეროში საქართველოში!

კიდევ უფრო ადრე, 80-იანი წლების დასაწყისში, უწმინდესმა მიაღწია თანხმობას მთავრობას-